№ 130 ივნისი 19, ხუთშაბათი 1886 ივნისი 19, ხუთშაბათი № 130

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

სტუდენტს მოსკოვის უნივერსიტეტისას, ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტისას, ჰსურს იშოვოს გაკვეთილები ისტორიისა, ძველ ენებისა და სიტყვიერებისა (словесность). ადრესი შავერდოვის პავილიონში.

ტფილისი, 18 ივნისს

ინგლისის პარლამენტი დათხოვნილია და ახალი არჩევანია დანიშნული. მეიდანი დასთა ჭიდილისათვის გაიხსნა. ცალ მხრივ სახელოვანი გლადსტონია და მეორე მხრივ სამი სხვა-და-სხვა დასი, ერთად მკლავი-მკლავ გადაჭდეული. ჭიდილი და ბრძოლა დასთა შორის არჩევანის დროს ახალი ამბავი არ არის. ეგ ყველგან არის ხოლმე, საცა ცხოვრება ადამიანისა მიდუნებული არ არის, საცა ერი გონებითად სცხოვრებს და მაშასადამე ჰფიქრობს და აზროვნობს. ხოლო დღევანდელს ინგლისის ჭიდილში ერთი რამ არის საკვირველი: სამი დასი, ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი ყოველისფერში, დღეს ხელი-ხელ გადაბმულია, რომ როგორმე გლადსტონს მომხრეები შემოაცალონ და ინგლისის ერს მისნი მოპირდაპირე კაცნი ამოარჩევინონ ახალის პარლამენტისათვის. ეს სამი დასი—რადიკალებისა ჩამბერლენის მეთაურობით, ზომიერ ლიბერალებისა გარტინგტონის წინამძღვარობით და კონსერვატორებისა სალისბერის სარდლობით—დღეს ერთმანეთს შეუერთდნენ და გლადსტონს სამნივ ერთად გაემკლავნენ. არც წარსულის ანდერძით, არც იმ დედააზრით, რომელიც ამ დასების სული და გულია, ეს სამი სხვა-და-გვარი დასი ერთმანეთს არა ჰგვანან და ისე ვერ შეიმშვნევენ ერთ-ერთმანეთს, როგორც ცეცხლი და წყალი. დღეს კი შეერთდნენ და ამბობენ, ოღონდ გლადსტონი თავის ირლანდიის პროექტით დამარცხდესო და მერე ჩვენ ვიცითო, ერთი ერთმანეთში როგორ გავალთ და გამოვალთო.

ამისთანა არა-ჩვეულებრივი მაგალითი ამ გვარ სხვა-და-სხვა დასთა შეერთებისა ბევრჯელ არ უნახავს ქვეყანას საზოგადოდ და ინგლისს საკუთრივ. რა თქმა უნდა, რომ ეს კავშირი გლადსტონის მოპირდაპირეთა დროებითია და თუ გლადსტონი დაამარცხეს, მაშინვე განქარდება და დაიშლება. დღეს კი გულ-მოდგინედ იბრძვის და ყოველს გვარს ღონესა და სახსარს ჰხმარობს, რომ სურვილი აისრულოს და თავისი გაიტანოს. ამისათვის თვითვეულმა მოთავემ თვითვეულის ცალკე დასისამ საკუთარის მანიფესტით მიჰმართა თავის ამომრჩეველებს და თავისი საბუთები წარუდგინა გლადსტონის წინააღმდეგ. კაცმა კი მართლა უნდა სთქვას, რომ გარკვეული აზრი ამ ირლანდიის გამო გამოთქმულია ერთის მხრით გლადსტონისა და მეორეს მხრით სალისბერის მიერ. სხვანი, მაგალითებრ, ჩამბერლენი და გარტინგტონი, რადგანაც ლობე ყორეს ედებიან, როგორდაც ბუნდად ჰლაპარაკობენ ასე, რომ კაცი ძნელად მიხვდება რა უნდათ და რას ეტანებიან. ამის გამო გლადსტონს საბუთი მიუძღვოდა ეთქვა, რომ განდგომილთა ლიბერალთა პროექტები კოჭლობენო, გამოდიან და ელვასავით ჰქრებიანო. სალისბერი კი პირდაპირ გამოდის და ამბობს, რომ ირლანდია ინგლისის პროვინციაა და მისდა სურვილისამებრ კი არ უნდა განიგებოდეს, არამედ ინგლისის სურვილისამებრო. თუ ირლანდია ჰშფოთავს და არ გვემორჩილება, ძალ-მომრეობით უნდა მოვევპყრათო და ერთი ოცი წელიწადი ასე რომ მოვექცეთო, ირლანდია თავის ფართი-ფურთს დაივიწყებსო და მთლად დაწყნარდებაო. გლადსტონმაც ლობე-ყორეს მოუდებლად, პირდაპირ და გულ-ახდილად დაუყენა ირლანდიის საქმე თავის ამომრჩევლებს. ორში ერთიო, ამბობს გლადსტონი: ან ავტონომია მიენიჭოს ირლანდიასა და მაშასადამე მიეცეს შეძლება და ღონის-ძიება თავისი საკუთარი საქმეები თვითონვე განაგოსო, ან განსაკუთრებითი, ესე იგი, ძალ-მომრეობითი კანონები დავუწეროთო და ამ კანონების შემწეობით ვმართოთო. სხვა პროექტები კი, გლადსტონის აზრით, გაჩხრეკის ღირსნიც არ არიან, რადგანაც გარკვევით არც ერთი მათგანი არასფერს არ ამბობსო.

მართალიც არის. ჩამბერლენის მანიფესტს რომ ჩააკვირდეს კაცი, ვერაფერს გადაწყვეტილს აზრს ვერ გამოიტანს, თითქო თვით-მართველობა ირლანდიისა უნდა კიდეც და არც უნდაო, რაღაც ფედერაციის მგზავს გამგეობასა თხოულობს არა მარტო ირლანდიისათვის, არამედ ინგლისისა, შოტლანდიისა და ვალიისის სამთავროსათვისაც. ჩამბერლენსა ჰწამობენ, რომ სადღაც შორსა სცემსო და ინგლისის მონარქიას ფესვებს აჭრის რესპუბლიკის გზის გასახსნელადაო. გარტინგტონის მანიფესტი უფრო ბუნდია და რაღაც ფრაზების «ჯანდითა და ბურუსითაა» გარემოცული. ინგლისის ერსა, რომელსაც პირ-და-პირ თვალის გასწორება და ყურება უყვარს, ვერ წაიტყუებს ბინდ-ბუნდით მოცული აზრი. ინგლისელი მეტად ფხიზლის გონებისაა და თავის დღეში იმ საქმეს არ მიუდგება, რომელიც ნათლად წარმომდგარი არ არის მის თვალ-წინ. ამიტომაც გვგონია, რომ ინგლისის ერი დღევანდელს არჩევანში განიკითხავს მარტო ორს აზრს, რომელიც ცხადად და ნათლად წარმდგარია მის წინაშე: ერთი აზრი გლადსტონისაა და მეორე სალისბერისა. რაკი საქმე ესეა დაყენებული ჩამბერლენისა და გარტინგტონის უთაურობით და რაკი ამისგამო ინგლისის ერს სხვა არა დარჩენია რა, რომ ან გლადსტონს უნდა მისცეს მხარი, ან სალისბერის, რადგანაც ცხადად მარტო ამათა აქვთ გამოთქმული აზრი,—ბევრი იმედია, რომ გლადსტონი გაიმარჯვებს, რადგანაც ამის მხრივ სიმართლე და კაცთ-მოყვარებაა და სალისბერის მხრივ ძალ-მომრეობა და მუშტი.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენის ქალაქის გამგეობას ემდურიან, ქალაქის ჯან-მრთელობაზედ არა ჰზრუნავსო. თითქმის ქალაქის ყოველის მხრიდამ უჩივიან ყოველგვარ სიბინძურეს და უსუფთაობას. ბევრს ალაგას ჰყრია თურმე მკვდარი ძაღლები, კატები და თაგვები, რომელნიც იხრწნებიან და საშინელს სუნსა ჰფენენო. ამ სიცხე-პაპანაქებაში ლეშის ხრწნა არაფერს კეთილს დააყრის ქალაქსა. ამ გვარს უსუფთაობას ბევრს შეხვდებით ქალაქის ქუჩებში, უმეტესად-კი ველაბარშია ბევრი, სურბ-კარაპეტის აღმართზე.

⁂ 17 მოწაფეთაგან, რომელნიც ამ წელს მერვე კლასში იყვნენ და მთელის კურსის ეგზამენიები უნდა დაეჭირათ მეორე კლასიკურს გიმნაზიაში: ორს ვერ დაუჭერია ეგზამენი, ორი დაუთხოვნიათ იმ უფლებით, რომ ერთის წლის შემდეგ დაიჭირონ კურსის შესასრულებელი ეგზამენი, ერთი გამოცდის ღირსად ვერ უცვნიათ და იმავ კლასში დაუნარჩუნე-

ფელეტონი

საჩინო

(დალალ-აზნაური)

ამბავი*)

ვაი რა უთხრა დაუდეგარს წუთის სოფელს, თვარა ის დრო მერჩია დალუპულს ახლანდელს დროს. დრო მაშინ იყო და ქუდიც მაშინ გვეხურა. ბატონები მაშინ ბატონობდენ, თავად-აზნაურობა მაშინ იყო, თუ იყო, გლეხებიც მაშინ გლეხობდენ,—ზრდილობიანნი, კარგი სიტყვა-პასუხის, მორჩილნი, უნცროს-უფროსობის მცოდნენი.

დღეს უკანასკნელი წვივ-შავი ყაზახი რომ არის, რომელსაც წელიწადში ერთხელ ლობიოსთვის წყალი არ გაუთბება; როგორც დაგინახავს, აგიაშვილი იყო, გინდ წერეთელი, გინდ ერისთავი, სულ ერთია მისთვის, გამოგექანება, სალამსაც არ გაკადრებს, თავის გამურულს ხელს გამოგიშვერს და, თუ არ ჩამოართვი, გტუნტრავს გულზე!.. ეს არის დრო?.. ამას უძახიან დროებას?..

აბა რა დროებაა? აბა, ახლა ჩაბძანდით ქ-ისში. უწინ რომ ურიები და სომხები ვაჭრობდენ, რაიქნენ? დღეს ვაჭრობა თავადის შვილისა და აზნაურის გვარებს დაუჭერიათ: შავდია—ვაჭარი, წულუკიძე—ვაჭარი, მხეიძე—ვაჭარი, წერეთელი—მებაღე, ან პოვარ-მზარეული! აი, ბატონო, მეორეთ მოსვლის ნიშანს სად ვატყობ!..

ჩემ დროს დიდი ბატონი რომ ქალაქში ჩაიდოდა, ცხენოსანი ხლებულები ოცამდის მაინც ეყოლებოდა; ქვეითი მოსამსახურენი კიდევ სხვანი იყვნენ. დღეს გინდ ერისთავი წაბძანდეს, გინდ დადიანი, ორი კინკილა მოსამსახურეც აღარ გაჰყვება უკან. მე ჩემი დრო მომიჭამია, დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს; მაგრამ თქვენ კიდევ მოესწრობით, ნახავთ, რომ უწინდელი დრო სჯობდა!—მწუხარის ამოოხვრით განაგრძო საჩინომ.

როცა დათუნამ უპატიურება მომაყენა, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ბატონ-ყმობისათვის ცუდი დრო, ჯერ კიდევ გვეტყობოდა ჩვენობა; ისეთი გული მომივიდა, დასაკლავად არ დავზოგავდი, ხელში რომ ჩამვარდნოდა, ნიგუზლის სროლა როგორ მკადრა-მეთქი. იქვე გადავსწყვიტე, ნაჩალიკს უნდა დავაკვრევინო როზგი; ამაზე უმწარესს დასჯას მე იმას ვერ მივაყენებდი, თუნდ კიდეც მომეკლა.

უჩასკის ნაჩალიკი დიდი ბატონის ყურ-მოჭრილი ყმა იყო. თუ არ მისი შუამდგომლობით, არც ერთი უჩასკის ნაჩალიკი ჩვენს უჩასკაში არ განწესდებოდა. როგორც კი დაიცლებოდა ეს ადგილი, დიდი ბატონი მაშინვე წაბრძანდებოდა ღრუბერნატართან და სთხოვდა, ეს და ეს კაცი დაგვიყენეთ უჩასკის ნაჩალიკათო; ისიც, რასაკვირველია, პატივს სცემდა, რადგან იცოდა, დიდი ბატონი თავის ქვეყანაში ძალიან გავლენის მქონი კაცი იყო. მაგიერად უჩასკის ნაჩალიკებსაც კარგად ხმარობდა დიდი ბატონი: ან გლეხი ვინმე, ბატონის ყმა, იურჩებდა, ან კახეთში გადავარდებოდა, უჩასკის ნაჩალიკი მაშინვე აფრენდა იასაულებს, შეკოჰვილ-შებაწრულს მოიყვანდენ დიდი ბატონის წინ და მერე მისი ნება იყო, როგორც დასჯიდა: ან იქვე ბატონის წინ გააწვენდენ და გასხეპდენ, ან შეაგდებდენ საპყრობილეში და სანამდის ბატონის ნება არ იქნებოდა, მანამდის დღის სინათლესაც აღარავინ აჩვენებდა. კიდეც ამიტომ იყვნენ გლეხები მორჩილებაში და იცოდენ კეთილ-შობილის კაცის ფასი და ღირსება. მე, რადგან დიდი ბატონის მოურავი ვიყავი, ბუგეულის უჩასკის ნაჩალიკი ჩემი გულითადი მეგობარი და პატივის-მცემელი იყო. იმდენი სიცოცხლე თქვენ და თქვენს შვილებს, იმდენი ბედნიერება ჩემს შვილებს მიეცა, უფრო დაიჯერებთ, რამდენი წითლიანი და ცის-ფრიანი ჩვენ უჩასკის ნაჩალიკის ჯიბაში ჩასულიყოს ჩემის შუამავლობით და გარიგებით. მაგიერად, რასაც დავასაქმებდი, ჩემს თხოვნას გვერდს ვერ შეუვლიდა.

⁂

წირვის დრო იყო, ბუგეულს რომ მივედი. უჩასკის ნაჩალიკი სერზე იდგა; აივანი*) წყლისკენ ჰქონდა და ქვეით რიონის შხუილს მხიარულად გადმოჰყურებდა. შორს კავკასიის მთები თეთრი ღოლბანდით იყვნენ მორთულები და მტრედის ფერს ჰაერის ჩადრებში გახვეულები.

ნაჩალიკის აივანზე მთხოვნელები ბუზებივით ირეოდენ. გულში ვთქვი, ნაჩალიკი დღეს ძღვნებით იქნება გალაღებული, კარგს გუნებაზე დამიხვდება და დედას ავუტირებ დათუნას-მეთქი. შევიჭერი თუ არა ნაჩალიკის ეზოში, მისმა იასაულმა ცხენი ჩამომართვა, ძლივს გავარღვიე ხალხი აივანზე. ნაჩალიკმა თვალი მომკრა, და მხიარულად მომძახა: „ოჰ, საჩინოს, ღვინო და ღვინის წყალობაო“.

— ღმერთმა ნუ მოუშალოს ეგ წყალობა ბატონს ნაჩალიკს-მეთქი.

— რაზე გარჯილხარო?

— უსიამოვნო ამბავი შემემთხვა, გთხოვთ ყური დამიგდოთ-მეთქი.

— წამოდი ჩემს ოთახშიო.

წინ ის შემიძღვა, მე უკან შევყევი და შევიკეტე კარები.

— რა ამბავიაო?

— მისთანა თქვენს მტერს, მე მომივიდა! დათუნამ გამაუპატიურა. მე დაწვრილებით გავენდვე, რაც შემემთხვა.

— ახლა ამ ცოტას ხანში რომ გაათავისუფლეთ, ეს ამბავი იმან შეგამთხვიაო?

---

*) იხ. „ივერია“ 1886 წ. № 122 და 123.

*) აივანი ბალკონსა ჰქვიან.

ბიათ კიდევ ერთის წლით და სწავლის შესრულების მოწმობა კი 12 მოწაფეს მიუღია ამათში არც ერთი არ აღმოჩენილა ოქროსა და ვერცხლის მედალის ღირსი.

⁂ გლდანში, როგორც გვატყობინებენ, საშინელი სეტყვა იყო ასე, რომ სიდიდით კაკალს არ ჩამოუვარდებოდაო. სეტყვას სულ გაუოხრებია მოსავალი და უმეტესად ბევრი ხილეულობა წაუხდენია.

⁂ გორიდამა გვწერენ: ახლა კი ხილი გაჩნდა ჩვენ ბაზარში; ქუჩა-ქუჩა დააქეთ კინტოებს სხვა-და-სხვა ხილი: ბალი, ალუჩა და სხვ. დროზედ არ ისინჯება ბაზარი, კინტოებისაგან უბან-უბან დატარებული ხილი: ძალიან ხშირად ჰყიდიან დამპალს და მატლიანს ხილსა. ამას წინად ერთს სახლობას ეყიდნა კინტოებისაგან ბალი; თავად კარგი ყოფილიყო, მაგრამ შიგნიდამ სულ მატლით ყოფილიყო სავსე. ბავშვს ეჭამა და კინალამ მოსწამვლიყოთ. კიდევ კარგი, რომ იმ კინტოსთვინ გორის ვაგზალზე შეემჩნიათ, რომ მატლიანს ბალსა ჰყიდდა და გადაეყარნათ.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: 12 ივნისს გორის მომრიგებელს სასამართლოში გაირჩა ერთი საყურადღებო საქმე: წინა-რიცხვებში გორის ვაგზალის ბუფეტში ერთს ალაგას მჯდარა ბ. დოლგოვი, წევრი ტფილისის ოლქის სასამართლოსი, სხვებთან ერთად. მეორე ალაგას თავისთვინ ყოფილა თ. ზაქარია გრიგოლის-ძე ერისთავი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარედ გამოსულა. ამას უკან გამოსდევნებია დ—ი ყვირილით: «კნიაზო, კნიაზო!» ე—ს ქვემოდ ჩაუსეირნია, დ—ი არ დაწყნარებულა, გამოჰკიდებია, უტაცნია ძალზე მკლავში ხელი და შემოუპრწიალებია; ზოგნი ამბობენ, ვითომც ხელიც წაუკრავსო. ე—ი გაშტერებულა ჯერ და მერე მაღალი სიტყვა უთქვამს. ეს მაღალი სიტყვა დ—მა შეურაცყოფად მიიღო და სასამართლოში საჩივარი შეიტანა. აი ეს საქმე, როგორც ვსთქვით, 12 ივნისს გაირჩა. მოპასუხე არ გამოცხადდა. მოსამართლემ გადუწყვიტა სამი თთვე საპატიმრო; ამასთანავე აღეკრძალოს სხვაგან სადმე წასვლაო, რომ თავიდამ არ აიცილოს სასამართლოს განაჩენის აღსრულებაო. მოპასუხე, რასაკვირველია, ამას უპასუხოდ არ დასტოვებს და ვნახავთ კიდევ, რითი გათავდება ეს ახირებული და ბნელი საქმე.

⁂ ქართლში, გორის მაზრაში წელს დიდი მოსავალი იქმნება პურისა და ღვინისა, თუ არა გამოუვარდარა. ამას წინად, 4-ს ივნისს რომ სრული გრიგალი იყო, დიდი ზარალი მისცა ნახნავ-ნათესსა: ნიაღვრებმა მთიანი ალაგები წალეკა; ხევები მრავლად დაამტვრია; გრიგალს მოჰყვა სეტყვა; ზოგიერთი სოფლები, მაგ. ძევერა, მარანა, ქიწნისი და სხვ. სრულიად გაანადგურა.

⁂ ყვირილიდგან გვწერენ, ყოველ კვირა-უქმე დღეს აქ ბურთის თამაშობა იმართება ხოლმე. ბურთის თამაშობაში მონაწილეობას მედუქნეები და ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფელთა მცხოვრებელნიცა იღებენ. ბურთის თამაშობა იწყება ნაშუადღევის შვიდ საათიდგან და მოთამაშენი ორ გუნდად განიყოფებიან ხოლმე. ბურთს აგდებენ რკინის გზის სადგურის პირდაპირ და თამაშობენ დუქნების წინ, ბაზარში. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბურთი რომელიმე დუქანში შეუვარდებათ, შეცვივდებიან ან ყველანი შიგა და ულეწვენ ვაჭრებს საქონელსა და ყოველსავე დუქნის მოწყობილებასაო. წარსულს კვირას ივნისის 15-ს მოხდა ერთი ამ გვარი შემთხვევა. მობურთალთ ბურთი რკინის გზის სადგომ წინ დაუვარდათ, მისცვივდნენ ყველანი და ასტეხეს ერთი ალიაქოთი. მოვარდნენ სტანციის უფროსის თანაშემწე ცეპელევსკი, ჟანდარმი მელიქოვი, კონდუქტორები და სხვანიც და რადგან ხვეწნა არ გაუვიდათ, ცემა დაუწყეს ხალხსა. მოთმინებიდამ გამოსულმა ხალხმაც თავის მხრივ დაუწყო ცემა და კაი დღე დააყენეს. რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით მოჩხუბრები დააწყნარეს. ამ მიზეზით ბაქოსკენ მიმავალმა ორთლის მატარებელმაც ნახევარ საათამდე დაიგვიანა. ამ დროს გამოიარა მაზრის მომრიგებელ-მოსამართლემ არსენიევმა და მელიქოვს უთხრა, განაჩენი შეადგინე და თვით მე წარმომიდგინეო.

⁂ ზემო-იმერეთიდგანა გვწერენ, რომ 13-ს ივნისს აქ მშვენიერი წვიმები იყო და კაი დროს, რადგან მოაბრუნა სიცხისაგან შეწუხებული და ჩამწვარი ყანებიო.

⁂ ყვირილიდამ გვწერენ, აქ განუწყვეტლივ მოაქვთ ჭიათურიდამ შავი-ქვა, რომლის გამოც ქუჩები თითქმის სულ გაშავებულიაო. ხალხს დიდ შეწუხებას აძლევს ამ შავი-ქვის ზიდვა. ამავე შავი-ქვის გამო ყვირილაში გაცხარებული ვაჭრობააო. აქ უკვე დაიწყეს ორ-სართულიანის სახლების აშენება და იქნება ჩვენი დაბა ჩქარა ქალაქადაც გარდაიქცესო.

დამაკვირდი!

საერთო მშვიდობიანობა ქვეყნიერობისა ისე შეუძლებელია, როგორც უძრაობა ოკეანესი. (ბუასტი)

—

თუ კაც-კაცობა საჭიროა, რომ კაცმა სიცოცხლე მოისპოს, უფრო საჭიროა, რომ თავის მწუხარება სძლიოს. (ლებლანი)

—

ვინც ხუთმეტის წლის ასაკში არა-რა არის, იგი თავის დღეში დიდ-ბუნებიან კაცად არ გახდება. (ბოშენი)

—

მოყვარე მინდა მოყვრული
და აღმშენებელი ხელისა;
შეჭირვებაში მხსნელი,
გარდამწყვეტელი ძნელისა.
(ვახტანგ VI)

—

ამისთანას მკურნალს ვაქებ
მილესავდეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობით
პირში სული ამოხუთოს.
(დ. გურამიშვილი)

—

მსაჯულად ყოფა ცუდია,
ვინ ვერ სცნობს ცრუ და მართალსა.
მოიკიცხება საჯაროდ,
დააკლებს ვინც სამართალსა.
(არჩილ მეფე)

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. სამიქაო. სამიქაოს საზოგადოებას (ქუთ. მაზრა) შეადგენენ შემდეგი სოფლები: სამიქაო, მაედანი, გულიხეთი, ქოლობანი, გუნაყათი და გეზათი. ეს სოფლები მდებარეობენ ცხენის-წყლის პირად. აღნიშნული სოფლები მდიდარნი არიან. უხვად მოდის პური, სიმინდი, ღომი, ფეტვი და სხვ. თუმცა მოსავალი უხვად მოსდით, მაგრამ, ხალხი სიღარიბეს ვერ ამოსვლია. ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებს 15—20 ვერსის მანძილზე უვლის მდინარე ცხენის-წყალი, რომელიც გაზაფხულზე ერთობ დიდდება, სთხრის მიწას, ჰგლეჯავს და მიაქვს ეზოები და მინდვრები; წარსულ წელში ოცამდე მოსახლე აჰყარა: წაართვა მათ ეზოები, მინდვრები და ყოველივე, რაც კი გააჩნდათ. ესევე მოელის ბევრს ჩვენგანაც.

ეს მდინარე, რომ ერთნაირად და ერთს დროს აძლევდეს ვნებას ყველას, მაშინ უსათუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას და ცოტა შრომით თავიდამ აიშორებდნენ ვნებას.

მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, გამოჩნდა გულ-შემატკივარი კაცი, რომელიც ამ ჟამად ცდილობს მოაშოროს სამიქაოს საზოგადოების მკვიდრთა ის ვნება და ზარალი, რომელიც მოაქვს მათთან. იგი კაცია ბ. თ. რაფიელ შუბლაძე; ამის თაოსნობით შესდგა ამხანაგობა, რომლებმაც მიიღო ყოველივე ზომანი, რომ ხსენებულს საზოგადოებას ააცილოს თავიდამ ყოველი ვნება; ამოიყვანეს რუები, გაუმაგრეს ნაპირები, რომ აღარა მოჰგლიჯოს-რა; გამოყვანილს რუებზე დაატრიალეს წისქვილები; დააშრეს ჭაობები და სხვ. და სხვ.

სწავლა-განათლების საქმე აღნიშნულ სოფლებში ძლიერ დაცემული არის. აქ არ არის სასოფლო სკოლა, მაშინ როდესაც ახლო-მახლო სოფლებში დამართულია სკოლები. მხოლოდ სამრევლო სკოლა კი აქვს მ. ტატიანე მიქაძეს, რომლისთვის მადლობის ღირსია. როგორც გავიგე, ზემო-აღნიშნულ ამხანაგობას განუზრახავს აღმოაჩინოს საშუალება სკოლის დაარსებისათვის. ვისურვებთ, ამხანაგობის კეთილი მიზნის სისრულეში მოყვანას.

ბ. სამიქაველი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს ახალი სამართალი მოსვენებას არ აძლევს. არც ერთი ისეთი საქმე არ არის რომ გაზეთმა თავისებურად, მკაცრად კბილი არ გაჰკრას და მოსამართლეებს შეუნდობელი დანაშაულობა არა შესწამოს რა. აი, მაგალითად, დღევანდელ მეთაურს წერილს როგორ იწყებს გაზეთი:

> დღეს კიდევ მთელი ხვავი სასაცილო საქმეებისა უნდა ამოვსწეროთ სასამართლოს მატიანედამ. ეს გარემოება უფრო კიდევ აშკარად გვიმტკიცებს, რომ საშინელ უსამართლობის დროსა ვცხოვრებთ და ეს სულ ჩვენის სასიქადულო სასამართლოს წესების წყალობით მოგვდისო.

გაზეთს მაგალითები მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, და უნდა გამოვტყდეთ, მაგალითები ხერხიანად ამოუკრეფია გაზეთებიდამა. გაზეთი „Новое Время“ გვაუწყებს,—მაგალითებრ, ამბობს გაზეთი, რომ ამ ხანებში კიევში გაუმართლებიათ მსაჯულებსა ვიღაც კლიშევსკი, რომელსაც საშინლად უწამებია თავისი ცოლი. აი საქმე როგორა ყოფილაო.

> ცოლ-ქმარი კლიშევსკები 10 წელიწადს ერთად სცხოვრებდნენ და მთელი

— დიახ-მეთქი.

— ჰმ,—მხიარულად ჩაიცინა ნაჩალიკმა. „ყადის ჯორი გასუქდა და იტლინკაო“. იმას ქონი უნდა შევათალოთ, მაშინ დამშვიდდებაო.

— ერთის სიტყვით, თუ იმის ჯავრი არ ამომყარე, ბატონო ნაჩალიკო, სიცოცხლე რაღათ მინდა მეთქი.

— ახლავე. რაც შენ დაგიკლია, მე ავუსრულებ. მაგრამ იცი, რა ვუყოთ? მე დათუნას ფიცხლად დავიბარებ. ის რომ აქ მოვა, მერე მისს სახლში გავგზავნი ორს იასაულს და იმ შენს შემრცხვენს პატარძალს წამოვაყვანინებ. შენ ხომ იცით, ჩემი მზეთ-უნახავთ კოშკი, იქ შევიყვან და დარაჯს დავაყენებ, რომ მე და შენს მეტი, მისი მნახველი ვერც ვერავინ შევიდეს და ვერც გამოვიდესო.

— როგორც გინდათ, ოღონდ დათუნას გულის ჯავრი ამომყარეთ-მეთქი.

— დათუნას ხარის ტყავსავით გაგიჭიმავ და გაგისხვეპავ... მაგრამ ჯერ ქონი უნდა შევაცალოთ.

ნაჩალიკმა მისწერა ფიცხელი ბრძანება ნაცვალს, ახლავ დათუნა აქ მომგვარეო. ეს ბრძანება ნაცვლის თანაშემწეს გაატანა და იმას უკან ორი ცხენოსანი იასაული გაადევნა, რომელთაც ჰქონდათ დაბარებული, მხოლოდ მაშინ შესულიყვნენ დათუნას ოჯახში, როცა ის ნაჩალიკთან იქნებოდა წამოსული. როგორც ჰქონდათ დაბარებული, ყოველივე ისე აასრულეს. წამოვიდა თუ არა დათუნა ნაჩალიკთან, ორი ცხენოსანი კაცი ესტუმრა თინათინს. მეოჯახე ქალმა ძალიან იუცხოვა იასაულების დაუპატიჟებელი სტუმრობა:

იმან შეკრთომით გამოხედა კარზე და შეაძახა იასაულებს: «კაცი არ გახლავთ შინაო».

— ჩვენ შენ კაცთან საქმე არა გვაქვს—უპასუხეს თინათინს. ნაჩალიკმა დაგვაბარა შენი პატარძლის წაყვანა.

— ქეე რაში ეპრიანება ბატონს ნაჩალიკს ჩემი გულქანი—გაფითრებულის სახით მიუგო იასაულებს თინათინმა.

— დედაო, ეს ჩვენი საქმე არ არის. რაც გვაქვს ნაბძანები, ჩვენ ის უნდა ავასრულოთ. სანამდის პატარძალს გამოაწყობდე, იქნება ცხელ-ცხელი შოთები ჩაგვისვა ლადარში და ერთი დოქი ბუგეულის ღვინო ამოგვიღო. მთელი დღეა ხემსი არ ჩაგვიდევს პირში.

— ქეე მამა-კაცი არ არის შინ და ეგ რა საკადრისია!... — განუმეორა იასაულებს თინათინმა.

— დედაო, შენ ბევრს ბოდიშს ნუ იხდი, საჩქაროდ მოზილე პური... ესეც მისაჭმელი!... ამ სიტყვებზე იშიშვლა ერთმა იასაულმა ხმალი, სხეპა დარბაზში მოსიარულე დედალს და თავი წააგდებია: საწყალი ქათამი გულ-აღმა დაეცა და ფეხები გააფართხალა.

— ქეე თქვენ აღარ ხუმრობთ!?... ღვთის გულისათვის აქედან გამეცალეთ, სანამდის ჩემი ქმარი მოგისწრებდესთ, თვარა ცოცხალი არ გადურჩებით.

— შენი ქმარი გვიან მოვა, ჩემო დედაო! იმას საჩინოსთვის შეურაცხყოფა მიუყენებია და ღმერთმა იცის, როდის მოვა. იქნება აქ მოსვლის მაგიერათ ქ....ს ნაობახში ამოყოს თავი.

თინათინ შეჩერდა. იმას ალბად წარმოუდგა ჩემი ამბავი, დიდი ბატონის ყოვლის შემძლებელობა, ნაჩალიკთან დასმენა .. თურმე ერთ წამს ენა ჩაუვარდა; მერე უეცრად ხელი იტკვლიცა ლოყაზე; ერთი წამოიკივლა „უი, ოჯახო დალუპულოვ!“, თვალის დახამხამებამდის გავარდა გარეთ და გაჰქრა.

იასაულებმა თურმე იფიქრეს, ჩვენ აქ ვერც ცივსა და ვეღარც ცხელს საჭმელს ვერ მოვესწრებით, თუ თვითონვე არა გავიკეთეთ რაო, და დაიწყეს აქეთ-იქით ფოთირი. თაროდან ახალი ამოყვანილი ყველი ჩამოიღეს, თახჩას მანჭვალი შეგლიჯეს. იქ ერთი კვაწია*) მაწონი იდგა, ხუთიოდე ქერის პური, ერთი გოჭის კანჭი, ეს სულ კაი დღის**) ნარჩენები იყო. ერთმა იასაულმა ესეები დაალაგა სუფრაზე; მეორემ ცივ-წყალ გადასხმული ქათამი ღველფში შეხვია, ცოტას ხანს იქით გამოიღო, გაწმინდა, გაფატრა, შამფურზე წამოაგო და ცეცხლს დაუფიცხა: მერე წავიდა ეზოში, კაკლის ძირთან დაჰკრა ბარი, ქვევრს თავი მოჰხადა, ამოიღო ღვინო, ერთი კარგი დიდი დოქი გაავსო, დასხდენ და სანამ დოქი არ გამოცალეს, არ ამდგარან. ბოლოს, რომ აღარავინ შემოეკარათ, ადგენ ღვინით შექინქლილებული იასაულები, ჩამოიღეს ზესხვანიდან ერთი კონა დაგრეხილი თუთუნები, ორი კარგი საქალამნე ტყავი და გამოუდგენ ნაჩალიკისაკენ.

⁂

თურმე თინათინ გარეთ რომ გამოვარდნილიყო, მაშინვე ყანაში გაქცეულიყო რძლების შესატყობინებლად: ახლავე თავს უშველეთ, თვარა იასაულები ჩამოგვიდგენ ოჯახში, გულქანის მოტაცება უნდათო, ნაჩალიკს გამოუსევიაო. ჩემზე ეთქვა, იმ ურჯულო ლეჩაქის მომხდელს საჩინოს კიდევ ჩვენზე უჩივლიაო ნაჩალიკთან. რძლებმა როგორც კი ყური მოჰკრეს ამ ამბავს, შველებივით გაფრთხენ და მას აქეთ ერთი თვეც გავიდა, რომ შინ აღარ მოკარებიან; სულ სოფლად იმალებოდენ ხან თავის დედ-მამის სახლში, ხან მეზობლებში.

⁂

შუა-დღე იყო, ნაჩალიკს სადილი გაეთავებინა და სუფრას იღებდა, ბიჭი შემოვიდა და მოახსენა, დათუნა გიახლაო. ნაჩალიკმა შემომცინა და თვალი მიქნია. მე მოვემზადე მრისხანე სახის მისაღებად. გულში გავიხარე, გავცოცხლდი, ბედაური ცხენი რომ ეჩუქებინა ნაჩალიკს, ისე არ მიამებოდა, როგორც ისა, რომ და-

---

*) კვაწიას—კოცოს ეძახიან.

**) კარგი დღე—დღესასწაულია.

ეს დრო საწყალ ქალს განუწყვეტელ ტანჯვაში გაუტარებია. პირველ ხანებშივე ქმარს სრულიად უმიზეზოდ ეჭვი აუღია ცოლზე და შეუბრალებლად ცემა დაუწყვია. 1881 წლიდამ ერთგულ ქმარს ცოლის ცემა-ტყეპა უფრო გაუხშირებია. ამასაც აღარ დასჯერებია: ერთს დღეს უსაბუთოდ ბ-ნ კლიშევსკის რაღაცა შარი მოუდვია ცოლისთვის, ძალით მიუგდია სარეცელზე და თანაც დაჰმუქრებია, თუ ყვირილს დაიწყებ დაგარჩობო. სარეცელზე მხოლოდ დაგაბამო, მთელ ღამეს ეგრე გაატარებო და დილაზედ ისევ აგიშვებო"; მართლა და მიუკრავს სარეცელზე, ხელები გაუბაწრავს და პირზე ხელსახოცი აუკრავს. მერე დაუწყვია მარცხენა თვალის ამოთხრა ჯერ თითით, მერე გამწვეტებულის ჩხირით, და რამდენჯერმე შიგ მოუტრიალებია. საწყალი ქალი, რასაკვირველია, დაბრმავდა. მოწმეებმა ერთ-ხმივ აჩვენეს სასამართლოში, რომ კლიშევსკის ცოლი კარგი, პატიოსანი ქალი იყოვო და იმაზე ცუდი არაფერი გაგვიგია რაო...

ნაფიცმა მსაჯულებმა მაინც გაამართლეს ეს საზარელი ავაზაკი, ცოლის ულმობელი მტანჯველი ქმარიო, აბოლოვებს გაზეთი „Московскія Вѣдомости“ ამ საზარელს მოთხრობასა.

მეორე მაგალითი გაზ. „Одесскій Вѣстникъ“-იდამ არის მოყვანილი.

> ეს პირველი მაგალითი არ არისო, რომ ოდესის სასამართლოს გაემართლებინოს ერთი ვიღაც სკალკოვსკი, რომელსაც რამდენიმე ცოლი ჰყოლია, და რაზედაც თვით დამნაშავე უარს არ ამბობდაო. გამართლებული არხეინად გამოვიდა სასამართლოდამ, ცოლებიც თან გამოჰყვნენ და სიყვარულით ებასებოდნენ თავიანთ საყოველთაო ქმარსაო.

გაზეთი ამ ამბის გამო დაცინვით ამბობს:

> ამერიკიდამ ეხლა მარმონებს (ბევრის ცოლების პატრონებს) ერეკებიანო,—მობძანდნენ ჩვენთან რუსეთში, ხელ გაშლილი მივეგებებითო: ჩვენის სასამართლოს წყალობით ჩვენში ყველა უმგზავსობა და უსამართლობა კარგად იხეირებსო.

ჟურნალ „Недѣля“-ში უფრო საყურადღებო ამბავსა ვკითხულობთო, განაგრძობს გაზეთი.

> ნოვგოროდის მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობაზე გარჩეულ იქმნა საჩივარი სოფელ ივანოვსკის გლეხებსა და ღენერალ ვოლკოვს შორის ერთის სადავო მამულის თაობაზე. აი რა საოცარი გარდაწყვეტილება ყოფილა დადგენილი ამ საქმის შესახებ: „სრულიად დამტკიცდა, რომ სადავო მამული აქამდინ გლეხებსა ჰქონიათ და შემდეგშიაც ამათ უნდა ეჭიროთო, ვიდრე სადაც რიგია, გადასწყდებოდეს, ვისი საკუთრებაა ეს მამული“... ამის გამო „გლეხებს უარი ეთქვასო...“

საუცხოვო გარდაწყვეტილებააო,—ამბობს გაზეთი. მხოლოდ ახალის სასამართლოს „მეგობრებს“ შეუძლიანთ ტაში უკრან ამისთანა სამართლიან გარდაწყვეტილებასაო!...

გაზეთის გულის-წყრომა მართლა რომ ყოვლად საქებური იქნებოდა, რომ ყველა გულ-წრფელად იყოს ნათქვამი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ გაზეთის განზრახვა სრულებით სხვა არის.

სასამართლოს მატიანე

მკვლელობა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუდეცკისა ლალიაშვილის-მიერ.

(შემდეგი *)

საბრალ-მდებელო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავს-მჯდომარემ, პოლკოვნიკმა იაჩევსკიმ, ჰკითხა ბრალდებულს: სცნობს თუ არა თავის თავს დამნაშავედ სემინარიის რექტორის, დეკანოზის ჩუდეცკის მკვლელობაში? ამაზე იოსებ ლალიაშვილმა უპასუხა: ‹დიაღ, ვსცნობო.› შემდგომ თავს-მჯდომარის წინადადებისამებრ ლალიაშვილმა უამბო სასამართლოს გარემოებანი საქმისა: „7-ს დეკემბერს რექტორმა გამომართვა მე ღლიური; როცა გასინჯა, მითხრა, რომ შენ საღმთო მოძღვრებებს სასაცილოდ იგდებო; საღვთის-მეტყველო საგნები იეზუიტურ საგნებად მიგაჩნიაო; გამკიცხა, რად იღებ მონაწილეობას იმ ხელთ-ნაწერ ჟურნალში, რომელიც ქართულს ენაზედ გამოდისო და რომელსაც ჰქვიან ‹ყვავილიო›. მე ვუპასუხე, რომ არ გესმით-მეთქი, რას ნიშნავს სიტყვა „იეზუიტური“. როცა ავუხსენი ამ სიტყვის მნიშვნელობა ისე, როგორც მე მესმოდა, ე. ი. რომ ამ სიტყვით მე დაცინვა არა მსურდა, რადგანაც იეზუიტები თვითონ სასულიერო პირნი არიან; მე არ დავეთანხმე რექტორსა, ვითომ ექზარხოსის ნაქადაგებსა მე სასაცილოდ ვიგდებდი. ჟურნალს „ყვავილში“ კი მონაწილეობას ვიღებდი არა მარტო მე, სხვანიცა. შემდეგ ვუთხარი, რომ ღლიურში იმიტომა ვხმარობ სიტყვას „ხუცესი“ (попъ) „მღვდლის“ მაგიერ, რომ ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ; იმითი არავითარიმე შეურაცხყოფა არა მსურდა სამღვდელოებისა; ქადაგების შინაარს ისე ვსწერდი, როგორც მესმოდა. როცა რექტორს ყველა ამას ვუხსნიდი, იგი გაჯავრდა და მიბძანა შევმდგარიყავ. მე მაინც არ შევდექ და ისევ განვაგრძე ლაპარაკი და მსჯელობა; ამიტომ რექტორი ისე აღელდა, რომ მითხრა სახელმწიფო ხარჯიდამ დაგითხოვო. მე მოვახსენე, რომ სემინარიის სამართველომ გაარჩიოს ეს ჩემი საქციელი და თუ დანაშაული აღმოჩნდე, დამსაჯონ. ხოლო რექტორი მრისხანებდა და თხოულობდა: გაჩუმდი, თორემ სახელმწიფო ხარჯს მოგაკლებო. ეს დაპირება შემდეგში კიდევაც შეასრულა. მე ერთმა მასწავლებელთაგანმა მითხრა, რომ მე შენსკენ ვიყავი, რექტორი კი შენ წინააღმდეგაო. იმ მასწავლებლის გვარს არ ვიტყვი, იმიტომ რომ მას აიმძულვარებენ სემინარიაში. 17 მარტს ინსპექტორი სემინარიისა სტეფანოვი და ზედა-მხედველი მოვიდნენ ჩემთან სახლის გასაჩხრეკად. ინსპექტორმა ჩემის წიგნებიდამ ერთი აარჩია, ეს იყო პისემსკის თხზულება ‹მეორმოცე წელთა მოღვაწენი›; ამ წიგნში იდო რვეული ამ ეპიგრაფიით ‹ცოდნა—აზატობაა, ცოდნა—სინათლეა, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მონაა›. ამავე წიგნში იყო ქაღალდის ნახევი, რომელზედაც გამოჩენილის პოეტების გვარები მეწერა. ეს წიგნი სურდა წაეღო ინსპექტორს, მაგრამ მე არ დავანებე, რადგან სხვისა იყო. მეორე დღეს კლასში მითხრა, რომ ჟურნალი „Отеч. записки“ მიმეტანა. მე „Отеч. записки“ არა მაქვს-მეთქი. ის წიგნი, რომელიც თქვენა ნახეთ, სრულებით სხვა წიგნია-მეთქი. ამასთანავე ინსპექტორთან ბოდიში მოვიხადე იმ სიტყვების გამო, რომლებიც მე მას მოვახსენე ჩემთან მოსვლისას: ‹სხვის საკუთრებასთან ხელი არა გაქვთ›-მეთქი. გამგზავნეს რექტორთან, ამანაც ‹Отеч. записки› მომთხოვა. მე ეგ ჟურნალი არა მაქვს-მეთქი. „მე შენ არ გენდობიო, მე ინსპექტორს ვენდობიო,“ მიპასუხა მან, შემოიტანე თხოვნა და შენის ნებით გადი სემინარიიდამაო. მე ვსთხოვე სხვა რიგად დავესაჯნეთ, მაგრამ რექტორმა არა ჰქმნა, უთუოდ დაუყოვნებლივ შემოიტანე თხოვნაო. „მისამარ ჩქარა შემოიტანე თხოვნა, თორემ ფიცხლავ მოვახდენ კრებას, დაგითხოვთ და ყოფა-ქცევაში 4 კი არა, 3 დაგისვამთო.“ რა მექნა, მივეცი თხოვნა; მომცეს მოწმობა და ყოფა-ქცევაში 4 დამისვეს. მე მივედი ზოგიერთს სასწავლებლებში, მივმართე სხვა უწყებებსაც, მინდოდა შევსულიყავ სადმე სამსახურში, მაგრამ რა-კი ყოფა-ქცევაში 4 მქონდა არ მიმიღეს. სამასწავლებლო ინსტიტუტში მოწაფეებმა ეს პასუხი მომცეს, რომ აქ თავიანთ მოსწავლეებსაც კი ითხოვენ, თუ ყოფა-ქცევაში 4 აქვს, და გარეშეებს ხომ სრულიად არ მიიღებენო. ამასობაში შაპოვალოვმაც გამომიცხადა, რომ იმის სახლიდამ გადავსულიყავ, რადგანაც მისი შვილები გიმნაზიაში გაკვეთილებს ათავებდნენ. მაშინ ექზარხოსს მივართვი თხოვნა, რომ მთავრად ვეკურთხებინე. მცირე-წლოვანობისა გამო უარი გამომიცხადა და მითხრა ჯერ პრიჩეტნიკად წავსულიყავ და მერე მთავრად გაკურთხებო. ექზარხოსმა შემდეგში აღარ მიმიღო. ამის შემდეგ მე რამდენჯერმე ვსთხოვე რექტორს რომ, თუ მოწმობაში 5 არ დამინიშნავთ, ის მოწმობა მაინც მომეცით-მეთქი, რომელიც გორის სასულიერო სასწავლებლიდამ მაქვს მოცემული და სემინარიაში წარდგენილი და რომელშიაც მიზის 5. მაგრამ ჩემს თხოვნა-მუდარებას ყური არ ათხოვეს; ასე გასინჯეთ, ხელზე სამთხვევლადაც კი არ მიმიშვებდა ხოლმე, როცა მამა რექტორს შევხვდებოდი. რამდენჯერმე ვევედრე გაესწორებინათ ყოფა-ქცევაში 4-ხი 5-ზე, ან სასულიერო სასწავლებლის მოწმობა მაინც მოეცათ, მაგრამ სულ ტყუილად. მე ძალიან გაჭირებაში ჩავარდი; მოკლებული ნაცნობებს, ნათესავებს, მე ლუკმა პური მენატრებოდა. რა მექნა, ვისთვის უნდა მიმემართნა? არსად არ მიმიღეს: არც სახელმწიფო და არც კერძო სამსახურში; სასწავლებელში შესვლა ამ ნაირის მოწმობით ხომ სრულიად საფიქრებელი არ იყო.›

როდესაც თავს-მჯდომარემ ჰკითხა, რამდენჯერ მიმართეთ რექტორს თხოვნით, ლალიაშვილმა უპასუხა: ‹მარტის თვიდამ 24 მაისამდე—16-ჯერ. როცა ხანჯალი ვიყიდე, მე არავისიმე სიკვდილი არ მინდოდა; ჩემი თავის მოკვლას ვფიქრობდი. 24 მაისს გამივიდა ყაელი სახლში დგომისა. შემოვირტყი ხანჯალი პალტოს ქვეშ და წაველი რექტორთან. ჯერ ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, რომ მოწმობა მოეცა; თვალ-ცრემლიანი შევთხოვედი... თუნდა კიდეც მოკვდე, არ მოგცემო! მითხრა და შებრუნდა ოთახში. მეორედ მიველი კიდევ; და როცა გამოვიდა, დავიჩოქე მის წინ და შევსთხოვე: თუ მოწმობას მომცემთ, სიცოცხლეს დამიბრუნებთ, თორემ მე სიმშილით სიკვდილი მომელის-მეთქი. მაგრამ მან არც ამ ჟამად შემიწყალა. მაშინ მე წარმოვსთქვი: მაშ რა ვქნა? ცარცვა-გლეჯით დავირჩინო თავი?—შენი გზა ეგ არისო, მომაძახა. მე საშინლად ავღელდი, თვალთ დამიბნელდა... ის-ღა მახსოვს, რომ ხანჯალი ამოვიღე და მოვიქნიე. სხვა აღარა მახსოვს-რა. რექტორი მე ჯიბრში მიდგა: სემინარიის შეგირდებს გამოუცხადა, რომ არ მომკარებიყვნენ, ჩემთან არ ევლოთ: ‹თუ შეგნიშნავთ ლალიაშვილ-

---

*) იხ. „ივერია“ № 129.

ამოკრებილია „Кавказъ“-ის № 158-დამ და ‹Нов. Обозрѣніе›-ს № 857-დამ.

თუნას ჩემს თვალ-წინ გასხეპდენ და მე სიამოვნებით ნიშნს მოვუგებდი.

ეჰ, დრო ის იყო და ქუდიც მაშინ გვეხურა. ახლა რა ვართ? წყალ-წაღებულები.

სუფრა რომ აიღეს, ბატონმა ნაჩალიკმა ბძანა დათუნას შემოყვანა. მე ნაჩალიკს უდგევარ უკან. შემოვიდა თუ არა დათუნა და დამინახა, ფერმა გადაჰკრა; მაშინვე იგრძნო, რომ ეს ჩემი მოხერხებული საქმე უნდა ყოფილიყო.

— შენ, ბატონო კაცო?—მრისხანედ შესძახა ნაჩალიკმა—ჯერ არც კი გათავისუფლებულხარ და აზნაურის შვილებს თავ-პირს ამტვრევ, როგორ ბედავ?... მე შენ გიჩვენებ, რა შვილიც ბძანდები.

— რათ მირისხდებით, შენი ჭირიმე. მე არა დამიშავებია-რა.

— შენ არ იყავი, საჩინომ რომ გიშუამდგომლა და გაგათავისუფლა? მერე მადლობის მაგიერათ სახლიდან გამოგდებას მაინც რაღას ერჩოდი? ვინ მოგცა ნება, რომ აზნაურს ზურგში ჰოლოკი მიაყოლო?

— ქვე, მაგის ბრალია, შენი ჭირიმე, მე როგორც ბატონი, ისე მივიღე, მაგან კი ოჯახის გაუპატ...

— გაჩუმდი, შე ვირის თოფრაო—დაუღრიალა ნაჩალიკმა. ახლავე როზგ ქვეშ ამოგართმევ სულს.

მეც იმ დროს ამაყად წამოვდგი ფეხი და შევშუღლე დათუნას, წახდა საწყალი გლეხი.

— ბიჭებოვო?—დაიძახა ნაჩალიკმა.

მაშინვე ოთხი მოწიფული ვაჟ-კაცი შემოვარდა ოთახში.

— ახლავე გააწვინეთ ეგ პადლეცი.

დათუნა დავარდა მუხლებზე და მწუხარის სახით შებღავლა ნაჩალიკს: ბატონო ნაჩალიკო, ეს ორმოცი წელია ჩემს კაცობას ეგ შეურაცხყოფა არ მიდგომიაო. შეიბრალეთ ეს ჩემი ჭაღარა, ნუ გამიმწარებთ მოხუცებულობის დღეებსა.

— მოჰკიდეთ ხელიო.

ოთხი მოწიფული ვაჟ-კაცი ეცა დათუნას და გააკავეს.

— ნაჩალიკო, ქვე შენ ღმერთს მიჰმადლე, ნუ გამაუპატიურებ. ქვე ჩემი ყოფა-ცხოვრება წაიღე და მაგ საქმეს ნუ მიზამ.

ნაჩალიკმა უბძანა ხლებულებს ისევ გარეთ გასულიყვნენ. როცა ჩვენ და დათუნა მარტო დავრჩით, ნაჩალიკმა გაბრაზებულათ დაიწყო ოთახში სიარული და არას ამბობდა. მე მივუახლოვედი დათუნას და ვუთხარი ჩუმად: ხუთასი მანათი მოიტანე და ნაჩალიკს შენს თავს გავათავისუფლებინებმეთქი.

— ქვე, ოჯახი არ დამექცეს ჩემს ბრობაზე ოც-და-ხუთი თუმნის მეტი არ იყოსო.

— აბა, ახლავე ირბინე და ეგ მაინც მოიტანე; იქნება ვეცადო და როზგისაგან დაგიხსნა.

— კი, ჩემო ბატონო.

თუმცა ნაჩალიკი ცდილობდა ბრაზმორეულად ეჩვენებინა თავი, მაგრამ დათუნას დათანხმებაზე შევხედე, რომ თვალებმა გაუცინეს.

გლეხმა იმავ წამს მოჰქუსლა შინისკენა. ნაჩალიკმა ორი ყარაული გააღევნა; შორი ახლოს მიჰყევით არ გადაგემალოსთო.

ისინი რომ გავისტუმრეთ, ნაჩალიკს ვუთხარი—ჯერ ეგ ფული მოიტანოს, მერე კიდევ სხვა შევაწეროთ-მეთქი. ამის პირობა კი მომეცით, რომ გაროზგვით, მაინც უნდა გაროზგოთ-მეთქი—ჩემს თვალ-წინ.

— დიდი სიამოვნებით, ჩემო საჩინო. მაგას გარდა, მოიტანს კიდევ სხვას თუ არა, სულ ერთია. შენ იმ ფულებიდან ხუთი თუმანი მაინც გერგება.

— ღმერთმა შენი ჭირი მომცეს-მეთქი.

⁂

დათუნა შინ მისულიყო არც ცოცხალი, არც მკვდარი, იქ იმას დახვედროდა თინათინ მარტოდ მარტო, უპატრონებოთ, ყოვლად შეწუხებული; მაგრამ ქმარი რომ დაენახა შეწუხებული ისევ გამხიარულებულიყო.

— ქვე მე შენ, კაცო, ახლა ქ...სკენ მეგონე გამგზავრებული; მადლობა ღმერთს ჩემმა თვალებმა კიდევ ბედნიერად გნახეს ჩემს ოჯახში.

— ამისთანა ბედნიერება ჩვენს მტერს და მაწყევარს მიეცა.

— რა იყო, ჩემო კარგო?

— ქვე, როგორ რა იყო! იმ წყეულმა საჩინომ ათასი ჭირი და უბედურება თავზე დაგვარეკა. ის დღე რატომ არ დეიქცა, რა დღესაც იმ გატიალებულმა ჩვენს ოჯახში შემოდგა ფეხი.

— ქვე იმას მოტყდა ფეხი და კისერი. არამი იყოს იმაზე ჩვენი პური და ღვინო.

— დედა-კაცო, დავიღუპე, ნაჩალიკი გადამეკიდა, აზნაური გაგიუპატიურებიაო, ან ოც-და-ხუთი თუმანი მოიტანე, ან ხარის ტყავსავით გაგშოლტავო.

— ოღონდ შენს ვაჟ-კაცობას ნუ გაიფუჭებ და ოც და-ხუთმა კი არა, ას თუმანმაც შენი ჭირი წაიღოს—ანუგეშა თინათინმა.

დათუნა მართლაც გამხნევდა ცოლის ამისთანა დედა-კაცობით.

— თინანო, შენი სულისა, შენი მერიდებოდა, მეგონა, შენ შემიწუხდებოდი, თვარა მალე მტერი მოგიკვდა, მალე ამისთანა ოც-და-ხუთი თუმანი ისევ ჩამოვაგორო შენს ზანდუკში. ის ჩემი ძმები აღარ მომეშველენ, თვარა მე ხვალაც გაუტევდი ქალაქისკენ.

— განა არ ვიცი, ჩემო ცხოვრებავ,—ელერსა თინათინ. მერე მივარდა ზანდუკს, ამოაგორა გძელი ნაქსოვი ქისა სულ ნიკოლოზის მანეთიანებით გატენილი და მისცა ხელში ქმარს.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

თან, იმავე დღეს დაგაყენებთ, რაც იმას დავაყენეო», ამბობდა ხოლმე რექტორი.»

სასამართლომ მოიწვია მოწმები და დააფიცეს. მოწმებმა: მარიამ ანანიას ასულმა ჩუდეცკისამ და მისმა დამ ეკატერინე ანანიას ასულმა მანჟელეისამ იგივე აჩვენეს, რაც იყო საბრალმდებელო ოქმში. ბრალ-მდებელის კითხვაზე ორთავე მოწმემ სთქვეს, რომ სულ 2 თუ 3 წამი გავიდა ლალიაშვილის მოსვლის შემდეგ, როცა ყვირილი მოისმაო. ჩუდეცკისამ აჩვენა, რომ იგი ლალიაშვილს იცნობს, ამიტომ რომ მის ქმარს ინსპექტორთან ხშირად ჰქონდა იმაზე ბაასი. ლალიაშვილი იყო ჩემ ქმართან ერთხელ მარტშიო.

მასწავლებელმა ვიქტორ იგნატისძემ ლოტოცკიმ აჩვენა, რომ როდესაც ლალიაშვილი მახათაძის ოთახში შევიყვანეთ, ქარქაში დავგლიჯეთ. ლალიაშვილს ისრე ეჭირა თავი კლასში, როგორც სხვა შეგირდებსაო. როცა იგი შევიპყარით, გაჩუმებული იყო და სახეზე აღელვება ემჩნეოდაო.

მასწავლებელი გიორგი ვასილის-ძე ჩეტირკინი: „ინსპექტორის თანაშემწემ მახათაძემ წაართვა ლალიაშვილს ხანჯალი. როცა ყვირილის გამო გარედ გამოვარდი, დავინახე რექტორი შესისხლიანებულის კალთებით. ლალიაშვილი, რომელიც მე მეჭირა, ყვიროდაო: «გამიშვით, გამიშვითო!»

ამათ გარდა ეკითხათ დათოშვილს, გორის სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედველს ბურჯანაძეს და სემენარიის ნამოწაფარს ზაქარია უზნაძეს, რომელიც ყარაულებმა შემოიყვანეს დარბაზში.

ინსპექტორი სემინარიისა იაკობ სტეფანეს-ძე სტეფანოვი: „9 დეკემბერს მე მოწაფეების წიგნები და რვეულები გადავჩხრიკე; ამ დროს ლალიაშვილს ვუპოვნე დღიური; ამ დღიურიდამ მტკიცდება მისი მავნე მიმართულება, მძულვარება ეკკლესიურ მოძღვრებათა და სასულიერო პირთა მიმართ; აქედამვე სჩანს, რომ იგი იღებდა მონაწილეობას ჟურნალს „ყვავილში", რომელიც ფარულად გამოდიოდა. ამისა გამო ლალიაშვილი დათხოვნილ იქმნა, სახელმწიფო ხარჯი მოესპო, მაგრამ იგი სრულიად უნუგეშოდ არ დაგვიტოვებია: მას დაენიშნა თვეში ექვსი მანათი. სამწუხაროდ, ამ შემწეობამ ლალიაშვილი არ გამოაკეთა. 12 მარტს მე და ჩემი თანაშემწე, სხვათა შორის, ლალიაშვილის სადგურშიაც მივედით; მე მოვთხოვე ეჩვენებინა წიგნები და რვეულები; იმან არ ასრულა ჩემი ბრძანება. მე სტოლიდამ ავიღე „Отеч. Записки", რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, აღკრძალულია მმართებლობისაგან საკითხავად, განსაკუთრებით მოსწავლეთათვის. ლალიაშვილმა მითხრა: «თქვენ არ შეგიძლიანთ არც წიგნებისა და არც რვეულების წაღება.» შემდეგ კიდევ უთხარი, რომ მოეცა ხსენებული წიგნი, მაგრამ მითხრა: «წიგნი სახლში გდია, რვეული კი სამოვარზე დასწვა სახლის-პატრონის ბიჭმაო». მე მოვახსენე ყოველისფერი განსვენებულს მამა რექტორსა. ლალიაშვილი მისულიყო სემინარიის მოსამსახურეებთან—როგორც მიამბო მოსამსახურე ჩიჩომ—და დაეწყო, რომ «ღმერთი არ არისო, რომ ყოველისფერი ბუნებამ შეჰქმნაო; რომ ხელმწიფეც არ არისო». იმავე საღამოს, როცა ეს ჩაიდინა, რექტორმა შეჰკრიბა წევრები სემინარიის სამმართველოსი და ლალიაშვილი დათხოვნილ იქმნა სემენარიიდამ თვისის სურვილისამებრ. ყოფა-ქცევაში დაუსვეს 4, რომელიც ნიშნავს ძალიან კარგი; დათხოვნის მოწმობა მიეცა მაისის 2-ში. ჩემთვის არ უთხოვნია 4-ის 5-ზე გადასწორება და არც გორის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა. როცა ლალიაშვილს მივეცით დათხოვნის მოწმობა, მეც და რექტორმაც ვუთხარით, რომ თუ რომელსამე სასწავლებელში შესვლას დააპირებს და ჩვენ მოგვთხოვენ ცნობას, მაშინ შეგეწევით და კარგს ცნობას მოგცემთო. წამოსვლისას ლალიაშვილმა ითხოვა 4 მ. 50 კ. თავის სოფელში წასასვლელად, მე ფული მივეცი, მაგრამ იგი ტფილისშივე დარჩა. დათხოვნის შემდეგ ლალიაშვილი რამდენჯერმე შემოვიდა ჩემთან და სულ დღიურს თხოულობდა. სასულიერო სასწავლებლის მოწმობაზე კი არა უთქვამს-რა, და თუნდაც ეთქვა, არ მიეცემოდა სემენარიის წესდებულებისა და უწმინდესის სინოდის განკარგულების ძალითა, როგორც სემენარიის მესამე კლასის მოსწავლეს. რექტორსაც თავის თავად არ შეეძლო გადაესწორებინა 4-ხი 5-ზე ყოფა-ქცევაში.

სტეფანოვის ჩვენებაზე ლალიაშვილმა თავის მხრივ ილაპარაკა და უარჰყო ის გარემოება, ვითომც იმას ეთქვას მოსამსახურეებისათვის: «ღმერთი არ არის, ხელმწიფე არ არის!»

ნაფიცმა ვექილმა ტურკევიჩმა წარადგინა წერილი, რომელიც მისთვის სემენარიაში მოსწავლეე ნამყოფებს მიეწერათ და რომელთაც მოწმებად ვერ გამოცხადდებოდნენ, რადგანაც მათი გამოწვევის ვადა გავიდაო. ამის გამო ითხოვა წაეკითხნათ იგი წერილი. ამ წერილშიო, ამბობდა ვექილი, აღწერილიაო, თუ როგორ ექცეოდა რექტორი მოსწავლეებსაო.

სასამართლომ უარი განაცხადა წერილის წაკითხვაზე.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

17 ივნისს

კრონშტატი. დღეს შუადღის პირველ საათზედ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე-იმპერატრიცამ კეთილ ინებეს წაბძანება ფინლანდიის „შხერებში" გემითა, რომელსაც «ცესარევნა» ჰქვიან და თანაც ახლავთ მეორე გემი „სლავიანკა".

ორენბურგი. დღეს მობძანდნენ აქ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და დღესვე წაბძანდნენ გინდავას.

სოფია. მთავრის მიერ თქმულ სიტყვის პასუხად საერო კრებამ ადრესი წარადგინა. ამ ადრესში გამოთქმულია სიხარული ორისავე ბოლგარიის შეერთებისა და საერო კრების მოწვევისა გამო; ადრესი იხსენიებს სახელოვან საქმეთა და თავგამომეტებას ბოლგარიის ჯარისას და ერისას და ამასთან იმედოვნებას აცხადებს, რომ ყოველივე ღონისძიება მიღებულ იქმნება გაერთების დამტკიცებისათვის. ბოლოს ნათქვამია, რომ კრებას სრული იმედი აქვს ხელმწიფეთა სულგრძელებისა, ნამეტნავად დიდის რუსეთისა, რომელმანც განათავისუფლა ბოლგარია და ყოველ გვარი კეთილი მოაფინა.

პეტერბურგი. სახელმწიფო რჩევამ დაადგინა: ბაჟის მომატება ჭაჭისა და ხილის სპირტზედ, რომელიც ისდება ჩერნომორიაში, სტავროპოლის გუბერნიაში, თერგისა და ყუბანის ოლქაში და იმიერ-კავკასიაში გადიდვას 1887 წლის 1-ლს ივლისამდე.*)

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — ულ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივნისი 30 დღით არის.

19 დღე ხუთშაბათი. მოციქულისა იუდასი, ძმისა უფლისა, სომეხთა: წმ. თავადთა სააკ, იოსებ; წმ. მოწამე სერგისა. ბაგოსი. კათ. გერვაზიასი და პროტაზისი. მუსულმ. 29 დღე თვისა რამაზან. იხლა, ღამე ლოცვისა (სუნიტებს); მოგონება ოსმალთ დამარცხებისა ვენის ქალაქთან. რუსის ჯარი ეჩმიაძინს მივიდა 1804 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—38 ტფილისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 4—26 ნღ. ჩადის 6—40 ღ.

20 დღე პარასკევი. წმ. მეთოდისა, ათანასესი. სომეხთა მარხვა. კათოლიკეთა: სილიბისტროსი, ფლორენტონისა. მუსულმანთა უკანასკნელი დღე რამაზანის მარხვისა. როცა თავადი ციციშვილი ემზადებოდა ეჩმიაძინის იერიშით აღებისათვის, უცბად გაჩნდა დიდი ჯარი სპარსთა და ასტყდა ფიცხელი ომი 1804 წელს. 1 საათსა და 7 წამზედ შობა ახალის მთვარესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—44; ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—38 მთვარე ამოდის 5—22 ღ. ჩადის 7—35.

21 შაბათი. წმ. მოწამე იულიანე, ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა: არჩილ, ლუარსაბისა. სომეხთა: წმ. დიდის ნერსეს მამა მთავარისა; და ეპისკ. ზადესი; კათოლ. ალოიზია და ავრელინისა. მუსულმ. 1 დღე თვისა შევალ 1303 წ. ჰიჯრისა—1 დღე ორუჯ—ბაირამისა. 1 იდულ-ფიტრ, გახსნილება. რუსის ჯარმა დაიპყრა დარუბანდი 1805 წ. „ამიერ კავკასიის მახარებლის" ბეჭდვა დაიწყო ტფილისში 1836 წელს. იალბუზზე ასვლა აკადემიკოსთ: კუპფერისა, მეიერისა და ლენცისა 1829 წელს. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—55. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 6—29 ჩადის 8—29 ღ.

22 კვირა. მოწამე ევსევი ეპისკოპოსისა. სომეხთა: აღების-ღამე წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. კათ. პავლინისა და ფლავიოსისა. მუსულმ. 2 დღე ორუჯბაირამისა. 12 დღეს ერტყა რუსის ჯარი ანაპას და ხუთჯერ მიიტანეს იერიში. ქალაქი აღებულ იქმნა 22 ივნისს დილის 8 საათზე. დატყვევებულ ოსმალოს ფაშათა შორის იყო ცრუწინასწარმეტყველი მანსურიც, რომელიც პეტერბურგს გაიგზავნა 1791 წ. ფიცხელი ომი გაიმართა ეჩმიაძინის მიდამოთა-შორის საქართველოს მთავარ-მმართებელის თავ. ციციშვილსა და სპარსთა შუა სპარსნი სცდილობდნენ, რომ წყალი გადაეგდოთ ეჩმიაძინიდამ 1804 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—6. ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 7—40; ჩადის 9—25 ღ.

23 დღე ორშაბათი. ქალწულ-მოწამე აგრიპინასი. სომ. წმ. ეპიფანე კვიპრელისა, ბაბილასი და სხვათა. კათოლ. აგრიპანასი, ზენონისა და ზენასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—17-ს ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 8—48; ჩა- 2—57 ღ. პოლკოვნიკი კარიაგინი გაემართა განჯიდამ შუშის გზით მაიორ ლისინევიჩთან შესაერთებლად. სულ 400 ჯარის კაცი ჰყავდა. აზრად ჰქონდა სპარსნი შეეყენებინა, რადგანაც მრავლად ამხედრებულიყვნენ და უნდოდათ საქართველოს დასხმოდენ თავსა. უცებ დიდ-ძალი სპარსნი დახვდნენ. კარიაგინმა მოიგერია სპარსნი და იარა თავისა გზით. ამით დაიხსნა საქართველო სპარსთა თავს დასხმისაგან 1805 წელს.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½ ›
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2 —	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3 1/ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 7 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ყვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24		

---

*) ამ დეპეშის დანარჩენს შინაარსსა ხვალ გაუწყებთ მკითხველებს.

Дозволено цензурою Тифлисъ 18 іюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.